სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება №28

31500000 – გასანათებელი მოწყობილობები და ელექტრო ნათურები

ქ. თბილისი

11 დეკემბერი 2014 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

შპს „წყალთა სახეობის ცენტრი - ტონუსი" (მის: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. 68, ს/კ 205267085, საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ლიბერთი ლიბერთი ბანკი, ბანკის კოდი LBRTGE22, ა/ა GE52LB0113140978547000) შემდგომში „შემსყიდველი", წარმოდგენილი მისი დირექტორის **სპარტაკ ყიფშიძის** სახით და

შპს „ინსტა" (ს/კ 202057264, საბანკო რეკვიზიტები: ს/ს საქართველოს ბანკი, ბანკის კოდი BAGAGE22, ა/ა GE95BG0000000280979000) შემდგომში „მიმწოდებელი", წარმოდგენილი მისი დირექტორის **გიორგი ბახსოლიანის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

შპს „წყალთა სახეობის ცენტრი - ტონუსი"-ის მიერ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით მეტალოჰალოგენის 2 ნათურის (POWERSTAR HQI-E) შესყიდვა.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულებაა **253.00** (ორასორმოცდაცამეტი) ლარი და **00** თეთრი;

3.2 1 ცალი მეტალოჰალოგენის ნათურის ღირებულებაა 126.50 (ასოცდაექვსი) ლარი და 50 თეთრი.

3.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც მისაწოდებელი საქონლის ღირებულებას, ასევე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს;

3.4 შესყიდვა ხორციელდება საკუთარი სახსრებით.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 5 დღისა;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

გ) მიწოდების მიმდინარეობის პროცესი უზრუნველყოს შესაბამისი რესურსით;

დ) უზურნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების განხორციელება.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მომსახურების გაწევის ინსპექტირება და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;

ბ) უზურნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების განხორციელება.

5. საქონლის ხარისხი და გარანტია

5.1 საქონლის ხარისხი უნდა იყოს მაღალი, შეესაბამებოდეს მოთხოვნებს და სახელმწიფოში არსებულ სტანდარტებს;

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათ შორის ხარისხის კონტროლი.

6.2 შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ინსპექტირება ხელშეკრულების შესრულებაზე, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს: გენ. დირექტორის მოადგილეს დავით ანდღულაძეს.

6.3 შესმყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტორლი და თუ აღმოჩდება გაწეული მომსახურება უხარისხო, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის წერილობითი შეტყობინებით დადგენილ ვადაში შემსყიდველს გაუწიოს ხარისხიანი მომსახურება ან თუ მიმწოდებელი ვერ შეძლებს ხარისხიან მომსახურებასდა

შემსყიდველს გადახდილი აქვს ამ უხარისხო მომსახურების ღირებულება, მიმწოდებელი ვალდებულია დააბრუნოს უხარისხო მომსახურების ღირებულება;

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსით უზრუნველყოს ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა საჭირო მომსახურებით. თუ შემსყიდველი ინსპექტირების მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

7. მიღება - ჩაბარების წესი

7.1 გაწეული მომსახურების, მათ შორის ეტაპობრივის მიღება წარმოებს მიღება - ჩაბარების ან შესაბამისი აქტის საფუძველზე. აღნიშნული აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელის მოწერით;

7.2 მომსახურების მიღებას აწარმოებს სპარტაკ ყიფშიძე;

7.3 თუ მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღი დაემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმება შესაძლოა განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება მიწოდების ვადის გადაცილებად.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორების ვალუტაა ლარი;

8.2 ანგარიშსწორების ფორმაა უნაღდო ანგარიშსწორება;

8.3 შემსყიდველი ვალდებულია ანგარიშსწორება მოახდინოს მიღება - ჩაბარების ან შესაბამისი აქტის (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის) გაფორმებიდან 10(ათი) დღის განმავლობაში;

8.4 თუ ანგარიშსწორება უნდა შესრულდეს არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშწორება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება გადახდის ვადის გადაცილებად.

9. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათის

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხელო შეუსრულებელი მომსახურების ღირებულების 0.2 %-ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

9.2 თუ დაკისრებული პირგასამტეხელოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს (ხუთი), შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტამდე გადასახდელი პირგასამტეხელოს ანაზღაურება.

9.3 პირგასამტეხელოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებებისაგან.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია ასევე მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან 2015 წლის 16 იანვრის ჩათვლით, გარდა მე-9 მუხლისა.

12. სხვა პირობები

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო მეორე მიმწოდებელს.

13. მხარეთა ხელმოწერა

<u>შემსყიდველი</u>

გენ. დირექტორი — სპარტაკ ყიფშიძე

<u>მიმწოდებელი</u>

დირექტორი — გიორგი ბახსოლიანი

მიღება–ჩაბარების აქტი

ქ.თბილისი 11 დეკემბერი 2014

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი: ერთის მხრივ შპს „წყალთა სახეობის ცენტრი –ტონუსი“-ს გენ.დირექტორი სპარტაკ ყიფშიძე (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ შპს „ინსტა“–ს დირექტორი გიორგი ბახსოლიანი (შემდგომში „მიმწოდებელი“) ვადასტურებთ რომ, 11/12/2014 წლის გაფორმებული N28 ხელშეკრულების თანახმად, „მიმწოდებელმა“ მიაწოდა 253.00 (ორასორმოცდაცამეტი) ლარი და 00 თეთრის ღირებულების საქონელი.

საქონლის ხარისხი შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით.

<u>შემსყიდველი</u>

გენ. დირექტორი სპარტაკ ყიფშიძე

<u>მიმწოდებელი</u>

დირექტორი გიორგი ბახსოლიანი